აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის განკარგულება

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 40

08 სექტემბერი 2008 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების მიერ გამოყენებული სახსრების ანგარიშების ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 48-ე მუხლის მე-5 პუნქტის “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ” აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის კანონის 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. საარჩევნო სუბიექტების მიერ 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით გამოყენებული სახსრების ანგარიშის მონიტორინგის მიზნით შეიქმნას ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი.

2. ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი დაკომპლექტებული იქნას საზოგადოებრივი წარმომადგენლებით, იურისტებითა და ლიცენზირებული აუდიტორებით.

3. ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ა) მირიან ქათამაძე – შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“-ს იურიდიული განყოფილების უფროსი;

ბ) მარიზა აბაშიძე - ქ. ბათუმის №2 საჯარო სკოლის დირექტორი მ/შ;

გ) ნინო ტავლალაშვილი - „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აჭარის ფილიალის თავმჯდომარე;

დ) რევაზ გოგიტიძე – აუდიტი;

ე) რეზო მანველიძე – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

4. დაევალოს მონიტორინგის ჯგუფს, მისი შექმნიდან არაუგვიანეს მე-5 დღისა, დასამტკიცებლად წარმოუდგინოს უსკოს განკარგულების პროექტი ჯგუფის დებულების, მისი მუშაობის წესის (მათ შორის ჯგუფის მიერ მიღებული დასკვნების უსკოსათვის წარდგენის ვადის) შესახებ.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია